კონკურსის „ასწავლე ფინანსები ლიტერატურით“ ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

ფინედუ

ქუთაისის N17 საჯარო სკოლა

ინფორმაცია ჩატარებული ღონისძიების შესახებ	
სეგმენტი	**მოსწავლეები**
კლას(ებ)ი, რომელშიც ჩატარდა აღნიშნული ღონისძიება	1-ზ კლასი
მხატვრული ნაწარმოები (დასახელება, ავტორი), რომელიც განიხილეთ მოსწავლეებთან ერთად	ივანე კრილოვის “ჭრიჭინა და ჭიანჭველა”
ფინანსური განათლების თემები, რომლებიც განიხილეთ აქტივობის ჭრილში *(მაგალითად, დაზოგვა, ბიუჯეტირება, დაზღვევა. თემებზე დეტალური ინფორმაციისთვის ეწვიეთ ფინედუს ვებგვერდს)*	დაზოგვა, დაგროვება
სწავლების მეთოდ(ებ)ი, რომელიც გამოიყენეთ ლიტერატურის განხილვისას. ახსენით რატომ შეარჩიეთ ეს მეთოდები *(მაგალითად, კეთებითი სწავლება, შემთხვევების განხილვა, დისკუსია, როლური თამაში და სხვა)*	როლური თამაში, შემთხვევის განხილვა, დისკუსია, პერსონაჟის დახასიათება

კონკურსის „ასწავლე ფინანსები ლიტერატურით“ ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

აქტივობის აღწერა *(აღწერეთ სრული შეხვედრის მეთოდური ნაწილი: როგორ წარიმართა შეხვედრა, რა სტრუქტურით და თანმიმდევრობით განიხილეთ მხატვრული ნაწარმოები, რა მეთოდები გამოიყენეთ და როგორ დაუკავშირეთ ფინანსურ განათლებას. მიუთითეთ ჩატარებული აქტივობის ხანგრძლივობა)*	გაკვეთილი ჩატარდა 2 მაისს, ქუთაისობის დღესასწაულზე. ეს დღესასწაული დაკავშირებულია გიმნაზისტი გოგოს ინიციატივასთან, რომელიც მეგობრებთან ერტად, გვირილების გაყიდვით შეგროვებული თანხით ტუბერკულიოზით დაავადებულებს ეხმარებოდა. სწორედ ამ ისტორიის გაცნობით დავიწყეთ გაკვეთილი. ბავშვებმა გაიხსენეს სიკეთის კეთების საკუთარი ისტორიები და აღმოვაჩინეთ რომ ზოგიერთ შემთხვევაში კლასის მოსწავლეებსაც ჰქონიათ სიკეთე გაკეთებული რაიმეს დაზოგვის ან დაგროვების საფუძველზე. შემდეგ მოსწავლეებს გავაცანი გაკვეთილის თემა, მიზანი და წარმოვუდგინე მათ მცირე სპექტაკლი ივანე კრილოვის იგავ-არაკის “ჭრიჭინა და ჭიანჭველას” მიხედვით. შემდეგ ბავშვებმა ნახეს მხატვრული ფილმი იგავ-არაკის ორიგინალი და ქართულად ნათარგმნი ვერსიებისა. ფილმების ნახვის შემდეგ ბავშვებს მივაწოდე შეკითხვები: • რა ნაწარმოები განვიხილეთ? • ვინ იყვნენ ნაწარმოების მთავარი გმირები? • რას აკეთებდნე ისინი ნაწარმოების განმავლობაში? • როგორ განვითარდა მოვლენები? • როგორ დასრულდა ნაწარმოები? • რატომ დარჩა ჭრიჭინა ზამთარში საკვების და სახლის გარეშე? • რატომ არ დაეხმარა ჭიანჭველა მას? • როგორი მოიქცეოდით თქვენ ჭრიჭინას/ჭიანჭველას ადგილას? • რა გასწავლათ ამ ნაწარმოებმა? • რატომ არის აუცილებელი დაზოგვა/დაგროვება? • თქვენთვის რისი დაზოგვა/დაგროვება იქნებოდა მნიშვნელოვანი? ბავშვებმა შეადარეს ერთმანეთს ჭრიჭინა და ჭიანჭველა. ნახეს ჭიანჭველაგროვიაზე მომზადებული ფილმი. ვისაუბრეთ თანხის დაზოგვის/დაგროვების აუცილებლობაზე . გაიხსენეს საკუთარი გამოცდილება აღნიშნულთან დაკავშირებით. დააკავშირეს იგავ-არაკი ფინანსების დაზოგვას. გააფერადეს ნაწარმოების გმირები და საკუთარი სიტყვებით ჩამოაყალიბეს გაკვეთილზე მიღებული მთავარი ცოდნა. დასახეს სამომავლო მიზნები ფინანსების დაზოგვისა და დაგროვების შესახებ.
შედეგი / მიგნება, რომელიც დადგა / გამოიკვეთა აღნიშნული აქტივობის განხორციელების შემდეგ *(მიუთითეთ, როგორ გაზომეთ აღნიშნული შედეგი)*	მოსწავლეებს გაკვეთილის ჩატარებამდე არ ჰქონდათ გააზრებული დაზოგვის/დაგროვების მნიშვნელობა, რაც თვალსაჩინო იყო დასმულ კითხვებზე პასუხების მიხედვით. მათ ამ ცნებების გახსენება შეძლეს მხოლოდ მას შემდეგ რაც ქუთაისელი გოგოების ისტორია მოისმინეს, აღნიშნეს რომ თავადაც შეუნახავთ ტკბილეული დაიკოს ან ძამიკოსთვის, შეუგროვებიათ მცირე თანხა (ვინმეს დახმარებით) დედიკოს გასახარებლად და ა.შ. გაკვეთილის დასასრულს ფურცლებზე, რომლებზეც გააფერადეს პერსონაჟები საკუთარი სიტყვებით დაწერეს გაკვეთილზე მიღებული მთავარი ინფორმაცია. ნაწერებში ჩანდა დაზოგვის, დაგროვების აუცილებლობაზე მცირე მსჯელობები. ბევრ მათგანს ნახსენები ჰქონდა თანხის დაგროვება მომავალი სურვილების, საჭიროებების შესასრულებლად.